



ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი

13.10.2014

№ 39

სარჩევი

საქართველო	3
„ფარავან ჰესი“ ექსპლუატაციაში შევიდა	3
2014 წლის სექტემბრის თვის ანგარიშსწორების მაჩვენებლები	4
რეგიონი	5
თურქეთი ბირთვული სადგურის მშენებლობის დაწყებას აჩქარებს	5
სომხეთის ატომურ სადგურზე სარემონტო სამუშაოები 11 ნოემბრამდე გაგრძელდება ...	6
აზერბაიჯანი ახალ ენერგეტიკულ სიმძლავრეებს ავითარებს	7
რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები	8
„სტატოილი“ სლოვაკეთის გავლით უკრაინისთვის გაზის მიწოდებას იწყებს	8
რუსეთის გაზის სექტორის განვითარება	9
ევროპა	11
დეკემბერში სერბეთი ქვანახშირის მალაროს განახლებას გეგმავს	11
ბრიტანეთი განახლებადი ენერჯის სუბსიდირებისთვის ბიუჯეტს 300 მლნ ფუნტამდე ზრდის	12
ევროპა დივერსიფიკაციის მიზნით გაზსაცავების მოცულობას ზრდის	14
მსოფლიო	15
„აშშ-ს ენერგეტიკული ინფორმაციის ადმინისტრაციის“ (EIA) პროგნოზით, ზამთარში ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგიაზე ფასები მოიმატებს	15
ნიგერია ენერჯის განახლებადი წყაროების ჯამური დადგმული სიმძლავრის 20 000 მგვტ.-მდე გაზრდას გეგმავს	16
ნავთობის ფასის ვარდნის შეჩერების მიზნით, ვენესუელა ოპეკ-ის ქვეყნებთან თანამშრომლობას გეგმავს	18
ანალიტიკა	18
IEA ენერგოეფექტურობას, როგორც „პირველად საწვავს“, 310 მლრდ აშშ დოლარად აფასებს	18

„ფარავან ჰესი“ ექსპლუატაციაში შევიდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ვიცე-პრემიერი/ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი თანერ ილდიზი, თურქული კომპანია „ანადოლუ ჯგუფის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე თუნჯაი ოზილჰანი, მთავრობისა და ენერგეტიკული კომპანიების წარმომადგენლები, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში „ფარავან ჰესის“ ექსპლუატაციაში გაშვების ცერემონიალს დაესწრნენ.



„ფარავან ჰესი“ პირველი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურია, რომელიც ექსპლუატაციაში ბოლო 35 წლის განმავლობაში საქართველოში შევიდა. პროექტის საინვესტიციო ღირებულება 200 მლნ აშშ დოლარი, დადგმული სიმძლავრე 87 მგვტ, ხოლო წლიური გამომუშავება 400 მილიონ კვტ საათია.

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა 2011 წელს დაიწყო. მშენებლობის პერიოდში სხვადასხვა ეტაპებზე დასაქმებულთა რაოდენობა 300-1000 ადამიანს შეადგენდა, მათ შორის 60% ადგილობრივი მოსახლეა. ამჟამად, სადგურის პერსონალი 35 მუდმივ დაქირავებულ თანამშრომელს მოიცავს, რომელთა შორის უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლეა და რომლებმაც გაიარეს შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

პროექტი შ.პ.ს „საქართველო-ურბან ენერჯიმ“ განახორციელა. „საქართველო-ურბან ენერჯი“ წარმოადგენს უმსხვილესი თურქული კომპანიის „ანადოლუ ჯგუფის“

შვილობილ კომპნიას, რომელიც „ფარავან ჰესის“ გარდა საქართველოში სხვა ენერგეტიკული პროექტების განხორციელებითაც არის დაინტერესებული.¹

2014 წლის სექტემბრის თვის ანგარიშსწორების მაჩვენებლები

2014 წლის სექტემბრის თვეში ესკო-ს მემწეობით შესყიდულმა (გაყიდულმა) საბალანსო ელექტროენერჯის რაოდენობამ 118 728 494.7 კვტ.სთ შეადგინა, რაც აღნიშნულ თვეში ქსელში მთლიანი მიწოდების 15%-ს წარმოადგენს. საბალანსო ელექტროენერჯის ღირებულებამ 11 955 298.5 ლარი შეადგინა.

სექტემბერში საბალანსო ელექტროენერჯის საშუალო შეწონილმა ფასმა ერთ კილოვატ საათზე 10.0694433 თეთრი შეადგინა, ხოლო დერეფულირებული ელექტროსადგურების საბალანსო ელექტროენერჯის ფასმა კი 7.319 თეთრი/კვტ.სთ.



აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ესკო-ს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერჯის მომწოდებლები იყვნენ თბოელექტროსადგურები და ჰიდროელექტროსადგურები. აგრეთვე, სექტემბრის თვეში ესკო-ს მიერ განხორციელდა ელექტროენერჯის იმპორტი აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან კომერციული ხელშეკრულებით. საბალანსო ელექტროენერჯის მთლიან მოცულობაში ჰიდროელექტროსადგურების წილი 25% იყო, თბოსადგურების – 1%, ხოლო იმპორტის – 74%.

2014 წლის სექტემბრის თვეში ესკო-დან საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვა განახორციელეს გამანაწილებელმა ენერგოკომპანიებმა და პირდაპირმა მომხმარებლებმა. მათი წილობრივი მონაწილეობა საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვაში, შესაბამისად, 93%-სა და 7%-ს შეადგენს.

სექტემბრის თვეში გარანტირებული სიმძლავრის სამივე წყაროს მიერ ფაქტობრივად უზრუნველყოფილი გარანტირებული სიმძლავრის მთლიანი ღირებულება იყო 3 015 775 ლარი, ხოლო გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების მიერ ყოველ მოხმარებულ კილოვატ საათზე გადახდილმა გარანტირებული სიმძლავრის საფასურმა 0.44441212 თეთრი შეადგინა.²

¹ <http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=334&lang=geo>

² http://esco.ge/index.php?article_id=153&clang=0

თურქეთი ბირთვული სადგურის მშენებლობის დაწყებას აჩქარებს

მოსკოვში რუსული ბირთვული კომპანია „როსატომის“ ხელმძღვანელთან, სერგეი კირიენკოსთან შეხვედრის შემდეგ თურქეთის ენერჯეტიკის მინისტრმა თანერ ილდიზმა განაცხადა, რომ ქვეყანაში ბირთვული ელექტროსადგურის აშენების პროცესი ჩქარდება და თურქეთი გადავიდა ახალ ეტაპზე, რომელმაც აკუიუს ატომური სადგურის



მშენებლობას გზა უნდა გაუხსნას.

„როსატომს“ თურქეთში აკუიუს ბირთვული ელექტროსადგურის აშენება სურს, თუმცა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს ელოდება.

„ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ გარკვეული ჩარჩო, რომელიც დააჩქარებს მშენებლობის ლიცენზიის მიღებას, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წარდგენას, პორტის მშენებლობასა და სხვა აქტივობებს,“ - განაცხადა ილდიზმა.

4 რეაქტორიანი სადგური ხმელთაშუა ზღვის თურქეთის სანაპიროზე მდებარე მერსინის პროვინციაში აშენდება. რეაქტორების მშენებლობა 2016 წელს დაიწყება და ბოლო რეაქტორი ოპერირებას 2020 წლისთვის დაიწყებს.

ილდიზის განცხადებით, თურქეთი და რუსეთი ნოემბერში ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო ფართო და მაღალი დონის შეხვედრებს გამართავენ.

თურქეთი უცხოური რესურსების იმპორტისგან თავის დასაღწევად, რომელიც ბიუჯეტის მიმდინარე დეფიციტის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია, ბირთვულ ელექტროსადგურს აშენებს. იმპორტირებული ბუნებრივი აირი და ნავთობი, რომელზეც თურქეთის ელ.ენერჯის წარმოების თითქმის ნახევარი მოდის, ქვეყანას წელიწადში 60 მლრდ აშშ დოლარი უჯდება.³

³<http://www.hurriyetdailynews.com/turkey-to-speed-up-nuclear-plant-plans.aspx?pageID=238&nID=72467&NewsCatID=348>

სომხეთის ატომურ სადგურზე სარემონტო სამუშაოები 11 ნოემბრამდე გაგრძელდება

სომხეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი იერვანდ ზახარიანი სომხეთის ატომურ ელექტროსადგურს ეწვია და გაეცნო ყოველწლიური დაგეგმილი სარემონტო სამუშაოებისა და სადგურისთვის საწვავის მიწოდების პროცესს.

ატომურ სადგურზე სარემონტო სამუშაოები 27 სექტემბერს დაიწყო და ის 46 დღე გაგრძელდება.



მინისტრის ცნობით, ელექტროსადგურზე პროფილაქტიკური სამუშაოები გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს.

„რეაქტორის გეგმიური გახსნის შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ საჭირო იყო დამატებითი სარემონტო სამუშაოების ჩატარება, ამიტომ ჩვენ რუსეთის ფედერაციიდან და ჩეხეთის რესპუბლიკიდან შესაბამისი სპეციალისტები მოვიწვიეთ,“ - განაცხადა ზახარიანმა სადგურში ვიზიტის შემდეგ.

მინისტრის ცნობით, ყველა საჭირო ზომა მიღებულია და დამატებითი სარემონტო სამუშაოები ხელს არ შეუშლის ატომური ელექტროსადგურის დაგეგმილ დროს - 11 ნოემბერს ქვეყნის ელექტროქსელთან ხელახლა დაკავშირებას.

ზახარიანმა ასევე განაცხადა, რომ რუსეთიდან მკვლევართა ჯგუფიც მიიწვიეს, რომელიც ელექტროსადგურის ტექნიკურ მდგომარეობას შეისწავლის.

ბირთვული სადგურის სარემონტო სამუშაოებში სულ 700 სპეციალისტია ჩართული, რომელთაგანაც 300 უცხოეთიდან მიიწვია ქვეყნამ.

მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ დღესდღეობით ელ.ენერჯის მიწოდების კუთხით არ არსებობს და არც იარსებებს რაიმე სახის პრობლემა, რადგანაც საჭირო ელ.ენერჯის მოცულობას ქვეყანას ჰრავდანის თბოელექტროსადგურის მეხუთე ბლოკი აწვდის.⁴

აზერბაიჯანი ახალ ენერჯექტივულ სიმლაჯრებს ავითარებს

აზერბაიჯანი 2015 წლისთვის ენერჯის განახლებადი წყაროების ახალი სიმლაჯრების აშენებას აპირებს.

„აზერბაიჯანის ალტერნატიული და განახლებადი ენერჯის წყაროების სახელმწიფო სააგენტოს“ თავმჯდომარის აკიმ ბადალოვის განცხადებით, სააგენტო 300 მგვტ ჯამური დადგმული სიმლაჯრის პროექტის გაშვებას გეგმავს.

პროექტი მზის, ქარის, გეოთერმული წყლების, პატარა მდინარეებისა და ბიომასის მეშვეობით ელ.ენერჯის გამომუშავებას ითვალისწინებს.

ამჟამად, პროექტის ფარგლებში, იენი იაშმაში ქარის ელექტროსადგურის პროექტი დასრულდა, რომლის დადგმული სიმლაჯრე 50 მგვტ.-ია.

„უახლოეს დღეებში, მას შემდეგ რაც სახელმწიფო კომისიისგან მივიღებთ თანხმობას, ჩვენ ვგეგმავთ ეს პირველი დიდი სადგური „აზერენერჯის“ სადისტრიბუციო ქსელთან დავაკავშიროთ,“ - განაცხადა ბადალოვი.



მისივე ცნობით, მზის 7 ელექტროსადგურის პროექტისთვის მოსამზადებელი სამუშაოები დასრულებულია და მათი მშენებლობის დაწყება 2014 წლის ბოლოს და 2015 წლის დასაწყისში იგეგმება.

გარდა ამისა, შაკისა და შიიაზანში იგეგმება ბიომასის ელ.სადგურის მშენებლობა, რომელიც პირუტყვისა და ქათმის ნარჩენებს გამოიყენებს ელ.ენერჯის გამოსამუშავებლად.

დღესდღეობით აზერბაიჯანში ალტერნატიული ენერჯის წილი 1 პროცენტზე დაბალია. ამასთანავე, მცირე ელექტროსადგურები უმნიშვნელო როლს თამაშობენ ელ.ენერჯის გენერაციაში.

აზერბაიჯანში ალტერნატიული და განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარებისთვის საჯარო ფონდმა 100 მლნ აზერბაიჯანული მანათი (127 მლნ აშშ

⁴ <http://news.am/eng/news/232838.html>

დოლარი) გამოყო, მთავრობა კი 5 წლის განმავლობაში 100-მდე ალტერნატიული ენერჯის წყაროს აშენებას გეგმავს.

გეგმის მიხედვით, 2020 წლისთვის მზის ენერჯის წილი აზერბაიჯანის ალტერნატიული ენერჯების მიქსში 40%-ს მიაღწევს. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ 2020 წლისთვის ქვეყანა გეგმავს ქვეყნის ელ.ენერჯის მოთხოვნის 20% ალტერნატიული ენერჯის წყაროებით დააკმაყოფილოს, რასაც სავარაუდოდ 7 მლრდ აზერბაიჯანული მანათის (8.9 მლრდ აშშ დოლარი) ინვესტიცია დასჭირდება.⁵

რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები

„სტატოილი“ სლოვაკეთის გავლით უკრაინისთვის გაზის მიწოდებას იწყებს

უკრაინის სახელმწიფო ნავთობისა და გაზის კომპანია „ნაფტოგაზის“ განცხადებით, კომპანიამ ნორვეგიულ „სტატოილთან“ ბუნებრივი აირის შესყიდვის კონტრაქტს მოაწერა ხელი. ხელშეკრულების მიხედვით, ნორვეგიელებმა მიწოდება 1



ოქტომბრიდან დაიწყეს. მართალია უკრაინული მხარე გაზის ფასებისა და მოცულობების შესახებ დეტალურ ინფორმაციას არ ასაჯაროებს, თუმცა გავრცელებული ინფორმაციით ქვეყანა ყოველდღიურად 12-15 მლნ კუბ.მ. გაზს მიიღებს. რაც შეეხება ფასებს, იგი რუსეთის მიერ უკრაინისთვის დაწესებულ ფასზე ნაკლები იქნება. უკრაინის

⁵ <http://www.azernews.az/azerbaijan/71306.html>

ენერგეტიკისა და ქვანახშირის წარმოების სამინისტროდან გავრცელებული ინფორმაციით, კომპანია „ნაფტოგაზი“ ყოველ 1 000 კუბ.მ. ბუნებრივ აირში დაახლოებით 340 აშშ დოლარს გადაიხდის.

როგორც საინფორმაციო სააგენტო „როიტერსის“ მიერ გავრცელებულ კომპანია „სტატოილის“ პრეს-სპიკერის განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნული კონტრაქტი უკრაინულ მხარესთან მოკლევადიანია და გაზის მცირე ნაკადების მიწოდებას გულისხმობს. თუმცა, ნორვეგიულ კომპანიასთან გაფორმებული კონტრაქტი უკრაინისთვის უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია, რადგან ამით ქვეყანა მომწოდებლების რაოდენობას ზრდის, რაც საბოლოოდ შესაძლოა ოფიციალურ კიევს მოსკოვთან მოლაპარაკებების დროს გამოადგეს.

უკრაინამ გაზის მიღება 1 სექტემბერს სლოვაკეთიდან „ვოიანი-უჟგოროდის“ გაზსადენის მეშვეობით დაიწყო. ამასთანავე, გერმანული კომპანიები ამ მილსადენს რუსული გაზის უკრაინისთვის მისაწოდებლად იყენებენ, რომლის ფასიც ყოველ 1 000 კუბ.მ-თვის დაახლოებით 350 აშშ დოლარს შეადგენს. რუსულ „გაზპრომს“ უშუალოდ უკრაინისთვის 16 ივნისის შემდეგ გაზი არ მიუწოდებია, თუმცა უკრაინა რუსული გაზის ტრანზიტს დასავლეთის ქვეყნებისთვის კვლავ აგრძელებს.

სლოვაკეთიდან მიღებულმა გაზის მოცულობამ სექტემბრის განმავლობაში დღიურად 27 მლნ კუბ.მ. შეადგინა, რაც წლიურად 10 მლრდ კუბ.მ-ის ეკვივალენტურია. შედარებისთვის, გასულ წელს ქვეყანამ რუსეთიდან 26 მლრდ კუბ.მ, ხოლო ევროკავშირიდან 2 მლრდ კუბ.მ. გაზის იმპორტი განახორციელა. სლოვაკეთის მილსადენების ოპერატორმა „ეუსტრიმმა“ „ნაფტოგაზთან“ კონტრაქტის მიხედვით შესაძლოა დღიური მიწოდება 17.6 მლნ კუბ.მ-მდე შეამციროს.⁶

რუსეთის გაზის სექტორის განვითარება

რუსეთის გაზის სექტორმა რამდენიმე გრძელვადიან პროექტთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, რასაც გლობალური ბუნებრივი გაზის სექტორზე უდიდესი გავლენა ექნება. სწორედ ამის გამო, რუსეთის ფედერაციის მიმართ დაწესებული სანქციების გავლენა (ძირითადად ენერგო სექტორში) სავარაუდოდ თანდათან შემცირდება.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ რუსეთი და თურქეთი შეთანხმდნენ ყოველწლიურად Blue Stream-ის გაზსადენის პროექტით გაზრდილი მოცულობის მიწოდებაზე (16 მლრდ კუბ.მ-დან 19 მლრდ კუბ.მ-მდე გაიზარდა). 2014 წლის

⁶NewsBase FSUOGM, Issue 803, 8 October 2014, Statoil begins delivering gas to Ukraine via Slovakia

განმავლობაში თურქეთი რუსეთიდან სავარაუდოდ 28 მლრდ კუბ.მ. გაზს მიიღებს. ადვილად შეიძლება დავასკვნათ, რომ ოფიციალური ანკარა თანდათანობით უკრაინაზე დამოკიდებულების შესამცირებლად ემზადება, რის შედეგადაც იგი რუსეთის გრძელვადიან პოლიტიკასთან მჭიდროდ დაკავშირებული იქნება, რომელსაც რუსეთი მისი ძირითადი მომხმარებლების მიმართ ატარებს: მაგალითად გერმანიის მიმართ, რომელიც Nord Stream-ის (55 მლრდ კუბ.მ სიმძლავრე) გაზსადენით პოლონეთისა და ბალტიისპირა ქვეყნების გავლით იღებს გაზს.

„სამხრეთ ნაკადის“ პროექტს, რომელიც ბულგარეთის არჩევნების გამო დროებით შეჩერებულია, ყველა ის ქვეყანა უჭერს მხარს, რომლებმაც მოსკოვთან ორმხრივი მთავრობათაშორისი ხელშეკრულებები გააფორმეს. ევროკავშირის წინააღმდეგობის მიუხედავად, რთულია უარის თქმა 63 მლრდ კუბ.მ. ბუნებრივი აირის ნაკადზე, რომელიც არ იქნება დამოკიდებული უკრაინაზე (სადაც ვითარება გაუარესდა). საიმედო წყაროების თანახმად, ვერც ერთი კანდიდატი ვერ შეძლებს მთავრობის ფორმირებას კოალიციის შექმნის გარეშე, შესაბამისად ლოგიკური იქნება ვივარაუდოთ, რომ ბულგარეთი გამყარებული პოზიციით დაუჭერს მხარს სამხრეთის ნაკადს 2014 წლის ბოლოსთვის.



ყოველივე ეს იმის გათვალისწინებით მოხდება, რომ ამის უკან 705 პოლიტიკური ძალა დგას. მათთან ერთად ასევე მნიშვნელოვანი სეგმენტია ადგილობრივი ბიზნესი და ფინანსური ელიტა.

რაც შეეხება თხევადი ბუნებრივი აირის სექტორს, „გაზპრომი“ და „შელი“ კვლავ განაგრძობენ მოლაპარაკებებს „სახალინი 2“-ის LNG-ის მწარმოებელ ქარხანაზე, რომელსაც დამატებით 5 მლნ ტონის წარმოება შეეძლება და ყოველწლიურ ექსპორტს 50%-ით გაზრდის. ამასთანავე, „სახალინი 3“, რომელიც „გაზპრომის“ მიერ

აღმოჩენილი ახალი გაზის საბადოა, რუსეთს დამატებით შესაძლებლობებს მისცემს, რათა მინიმუმ მომდევნო 30 წლის მანძილზე ყველაზე სანდო მიმწოდებელი გახდეს მსოფლიოს მასშტაბით. ამ ორი პროექტის განვითარებას გეოგრაფიული მდებარეობაც უწყობს ხელს, რაც რუსეთს საშუალებას აძლევს მიწოდების ბაზარი გააფართოოს იაპონიაში, ჩინეთსა და კორეაში. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ინდონეზიის ენერჯო რესურსების გამოლევა და ტაილანდის, ვიეტნამისა და ფილიპინების ენერჯო მოხმარების ზრდა, რომლებიც,

სავარაუდოდ, სახალისისა და ავსტრალიის საბადოების მეშვეობით უნდა დაკმაყოფილდეს.⁷

ევროპა

დეკემბერში სერბეთი ქვანახშირის მალაროს განახლებას გეგმავს

სერბეთის ენერგეტიკისა და სამთო მოპოვების მინისტრის, ალექსანდრე ანტიკის განცხადებით, სერბეთის უდიდესი ქვანახშირის მალარო, „ტამნავა ზაპადნო პოლე“, რომელიც ამ გაზაფხულს რამდენჯერმე კატასტროფული წყალდიდობის შედეგად დაზიანდა, დეკემბრის შუა რიცხვებისთვის კვლავ განახლებას საქმიანობას.

მალარო, რომელიც სერბეთის ენერგო სტაბილურობის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდა, 187 მლნ კუბური მეტრი წყლის ქვეშ აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც ქვეყანას ისტორიაში ყველაზე საშინელი წყალდიდობა დაატყდა თავს.

ანტიკის თქმით, გასულ კვირაში „ტამნავა ზაპადნო პოლეში“ წყლის დრენაჟების მუშაობა გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა და მიმდინარე კვირაში დღიურად 2.5 მლნ კუბური მეტრი წყლის ამოტუმბვა მოხდება. მთლიანობაში მალაროდან 43 მლნ კუბური მეტრი წყალი იქნა ამოღებული.



სექტემბერში სადრენაჟო კონტრაქტი გაფორმდა სერბულ „ენერგოტექნიკა იუჟნა ბაკასა“ და რუმინულ SC NESS Proiect Europa-ს შორის. კონსორციუმის შეთავაზებით, პროექტი გულისხმობს კუბური მეტრი წყლის 0.132 ევროდ (0.167 აშშ დოლარი) ამოღებას, წამში 50 კუბური მეტრი წყლის ამოტუმბვის პირობით.

⁷ <http://www.naturalgaseurope.com/major-developments-russian-gas-sector>

პროექტის დაფინანსება მოხდება 300 მლნ აშშ დოლარის სესხიდან, რომელიც გასულ კვირას „მსოფლიო ბანკმა“ გამოუყო სერბეთს წყალდიდობის შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

დაფინანსება მიმართული იქნება „ტამნავა ზაპადნო პოლეს“ დრენაჟირების, ელექტროენერჯის იმპორტისა და სოფლის მეურნეობისაკენ, რომელიც წყალდიდობამ ასევე დააზარალა.

„ტამნავა ზაპადნო პოლე“ სერბეთის უდიდესი ქვანახშირის მომპოვებელი კომპლექსის „კოლუბარას“ ნაწილია. „კოლუბარას“ ქვანახშირის წარმოება შეადგენს EPS-ის (Electric Power Industry of Serbia) მთლიანი წარმოების დაახლოებით 70%-ს და მთლიანად ქვეყნის ელექტროენერჯის წარმოების 50%-ზე მეტს.

„კოლუბარას“ ოთხივე ღია ტიპის ქვანახშირის მომპოვებელი მადარო დაზიანდა წყალდიდობისას. „ველიკი კრლიენისა“ და „ტამნავა ზაპადნო პოლეს“ მადაროები, რომლებიც მთლიანი კომპლექსის წარმოების 2/3 ნაწილს შეადგენს სრულიად დაიტბორა, ხოლო „კოლუბარას“ დარჩენილი ორი მადარო - ნაწილობრივ.

„კოლუბარა“ ამჟამად აწარმოებს 65 000 ტონა ქვანახშირს დღეში, ხოლო მისი ნორმალური დღიური წარმოება 90 000 ტონას შეადგენს.

კომპლექსს 2014 წლისთვის გამიზნული ჰქონდა 30.4 მლნ ტონა ქვანახშირის წარმოება, თუმცა წყალდიდობის შემდეგ მხოლოდ 24.6 მლნ ტონის წარმოება მოახერხა. „ტამნავა ზაპადნო პოლე“ 14.3 მლნ ტონა ქვანახშირის წარმოებას გეგმავდა, თუმცა მასამდე მხოლოდ 5.7 ტონის წარმოება შეძლო.⁸

ბრიტანეთი განახლებადი ენერჯის სუბსიდირებისთვის ბიუჯეტს 300 მლნ ფუნტამდე ზრდის

ხუთშაბათს, „ენერჯეტიკისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის“ (DECC) მიერ გაკეთებული განაცხადების თანახმად, ბრიტანეთმა ელექტროენერჯის იმ პროექტის სუბსიდირების ბიუჯეტი, რომელიც განახლებად რესურსებს იყენებს, 95 000 მლნ ფუნტით გაზარდა.

ბრიტანეთი გეგმავს, სათბური გაზის ემისიის მინიმუმ 80%-ით შემცირებას 2050 წლისთვის და ენერჯის მწარმოებლების სტიმულირების მიზნით სუბსიდიებს ზრდის, რათა წიაღისეული საწვავიდან მოხდეს ნახშირბადის დაბალი ემისიის მქონე ენერჯის მწარმოებელ ტექნოლოგიებზე გადასვლა.

⁸ NewsBase Energo CEE/FSU Power Monitor, Issue 733, 8 October 2014, Serbia to restart largest coal mine in December

„ჩვენ ვახდენთ გაერთიანებული სამეფოს ენერგოსექტორის გარდაქმნას, თუმცა საქმე გვაქვს მემკვიდრეობით გადმოცემულ არასაკმარის ინვესტიციებთან, იმისთვის რათა მერყევ უცხოურ ბაზრებზე დამოკიდებულების დონის შესამცირებლად შევქმნათ ახალი, სუფთა და საიმედო ენერჯის წარმოების წყარო,“ - განაცხადა ენერჯეტიკისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის მდივანმა ედ დეივიმ.

ნახშირბადის დაბალი ემისიის მქონე ენერჯის წარმოების პროექტის სუბსიდირების აუქციონი 16-30 ოქტომბერს გაიმართება.

„ნაკლებად განვითარებული ტექნოლოგიები, როგორცაა ოფშორული ქარისა და ზღვის, გაინაწილებენ 235 მლნ ფუნტს, რაც დაეხმარება ამ ტექნოლოგიებს, გახდეს უფრო მეტად კონკურენტუნარიანი, ისევე როგორც დანარჩენი ნახშირბადის დაბალი ემისიის მქონე ენერჯის წყაროები“.

DECC-ის განცხადებით, აუქციონზე გამარჯვებული პროექტი მიიღებს 15 წლიან კონტრაქტს.



RenewableUK-ის თქმით, დამატებითი ფული, სავარაუდოდ, ჯამურ დადგმულ სიმძლავრეს 200 მგვტ-ით გაზრდის და სქემის მიხედვით ჯამური დადგმული სიმძლავრე 700-800 მგვტ-ს მიაღწევს, რაც საკმარისი იქნება 350 000 – 400 000 სახლის მოსამარაგებლად.

მთავრობამ ხუთშაბათს ასევე დაადასტურა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სქემის მიხედვით, ახალი მზის ენერჯის ელექტროსადგურის სუბსიდირება მზარდი ხარჯების გამო დასრულდება 2015 წლის 1-ლი აპრილისთვის, 2 წლით ადრე, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

DECC-მა განაცხადა, რომ იმ პროექტებისთვის, რომელთაც 2013 წლის 13 მაისს, ცვლილებებზე კონსულტაციების დაწყებისას, ფინანსური ვალდებულება აიღეს, საშელავათო პერიოდს დააწესებენ.

„მომდევნო წლების აუქციონების ბიუჯეტები კი 2015 წელს დამტკიცდება,“ - აცხადებს DECC.⁹

⁹<http://www.dailymail.co.uk/wires/reuters/article-2778014/Britain-increases-renewable-subsidy-budget-300-million-pounds.html>

ევროპა დივერსიფიკაციის პიეზაში გაზსაცავების მოცულობას ზრდის

„ბუნებრივი გაზის ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრის“ მიხედვით, ევროპა მომდევნო წლებში ბუნებრივი გაზის საცავის მოცულობის გაზრდას გეგმავს, ხოლო ბაზრების ლიბერალიზაციის ფონზე, ქვეყნები რუსეთის საწვავზე დამოკიდებულების შემცირების გზებს ეძებენ.

პარიზში დაფუძნებული ბუნებრივი აირის საინფორმაციო ცენტრის CEDIGAZ-ის ცნობით, ამჟამად, მსოფლიოს მასშტაბით, 44 მლრდ კუბური მეტრი (1.6 ტრილიონი კუბური ფუტი) მოცულობის საცავები აშენდა, ან გაფართოვდა. აქედან 50% ევროპაში მდებარეობს. რეგიონში იგეგმება მოცულობის 55 მლრდ კუბური მეტრით გაზრდა, ან გლობალური პოტენციალის 59%-ის გამოყენება.



ევროპული გაზით ვაჭრობა იზრდება, ვინაიდან ბაზრის ლიბერალიზაცია ზრდის კონკურენციას. ევროკავშირი იმედოვნებს მიწოდების დივერსიფიცირებას, ვინაიდან რუსეთ-უკრაინის კონფლიქტმა, შესაძლოა, ჩაშალოს მიწოდება რეგიონში, როგორც ეს მოხდა 2006 და 2009 წლებში. რეგიონის მოთხოვნის დაახლოებით 30% დაკმაყოფილებულია რუსული საწვავით, რომლის ნახევარიც მილსადენებში უკრაინის გავლით მიედინება.

„ევროპაში მრავალი ქვეყანაა და მათ უმეტესობას სურს საკუთარი პროექტების განსხვავებული მიზნებით განხორციელება და ზოგის მიზანი მიწოდების უსაფრთხოებაა“ - განაცხადა CEDIGAZ-ის გენერალურმა მდივანმა, ჟეფრი ჰიურომ და დაამატა, რომ სხვა დანარჩენი მიზნები ლიბერალიზაციასა და კონკურენციას მოიცავს.

CEDIGAZ-ის მიხედვით, ევროპას დასჭირდება უფრო მეტი საცავი, ვინაიდან მისი დამოკიდებულება იმპორტირებულ გაზზე 2030 წლისთვის 70%-მდე გაიზრდება. ამ პერიოდისთვის მოთხოვნა 595 მლრდ კუბური მეტრი იქნება.

8 ოქტომბრის მონაცემების თანახმად, ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნის საცავებში 77.2 მლრდ კუბური მეტრი ინახება, რაც 2009 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია და საცავებს 93%-ით ავსებს.

CEDIGAZ-ის მონაცემებზე დაყრდნობით, გაერთიანებულ სამეფოს, გერმანიისა და იტალიის შემდეგ, ყველაზე მეტი საცავი აქვს მშენებლობის პროცესში, ან განსაზღვრული სამომავლო გეგმებში. გერმანიას აქვს ყველაზე დიდი ოპერატიული ტევადობის საცავი ევროკავშირში, რომელიც ბრიტანეთის საცავის ზომას ხუთჯერ აღემატება.

„ევროპაში დაგეგმილი პროექტებიდან რამდენიმე შეიძლება არ განხორციელდეს, ვინაიდან ისინი შემოთავაზებული იყო მანამ, სანამ დაეცემოდა მოთხოვნა“ - განაცხადა ჰიურომ. ევროკავშირის საწვავის მოხმარება ბოლო სამი წლის მანძილზე შემცირდა. „ევროგაზის“ ინფორმაციის თანახმად, 2014 წელს კიდევაც მოსალოდნელი მოხმარების წინა წელთან შედარებით 9%-ით დაცემა.

მსოფლიოში გაზსაცავების ჯამური მოცულობა მიმდინარე წლის 1-ლი იანვრიდან 5%-ით გაიზარდა და 399 მლრდ კუბურ მეტრს მიაღწია, აქედან ევროპის მოცულობა 3%-ით, 101 მლრდ კუბურ მეტრამდე გაიზარდა. მონაცემების თანახმად, ჩრდილოეთ ამერიკის გაზსაცავების მოცულობაც 3%-ით გაიზარდა და 157 მლრდ კუბ.მ-ს შეადგენს.

ახლო აღმოსავლეთში გაზსაცავის მოცულობა 4-ჯერ გაიზარდა 6 მლრდ კუბ.მ-მდე, რაც დაკავშირებულია ირანში Shourijeh-ს ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლასთან, რომელიც ერთადერთი ქვეყანაა რეგიონში მიწისქვეშა გაზსაცავით. აზიასა და ოკეანეაში საცავების სივრცე 15%-ით, 7 მლრდ კუბ.მ-მდე გაზრდილი.¹⁰

მსოფლიო

„აშშ-ს ენერგეტიკული ინფორმაციის ადმინისტრაციის“ (EIA) პროგნოზით, ზამთარში ბუნებრივი გაზსა და ელექტროენერგიაზე ფასები მოიმატებს

„აშშ-ს ენერგეტიკული ინფორმაციის ადმინისტრაციამ“ ენერგეტიკისა და ზამთრის საწვავების მოკლევადიანი პროგნოზი გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ მიუხედავად ბუნებრივ გაზსა (6%-ით) და ელექტროენერგიაზე (4%-ით ცენტრალურ დასავლეთში და 2%-ით ჩრდილო-აღმოსავლეთში) გაზრდილი ფასებისა, ბინათმფლობელებს, საერთო ჯამში, ამ ზამთარში გათბობაზე გაწეული ხარჯები შეუმცირდებათ.

ნაკლები თანხები იქნება გადასახდელი პროპანისა და სათბობი მაზუთისათვის და მომხმარებლებს შეუძლიათ მოლოდინი ჰქონდეთ, რომ შესაბამისად, 27% და 15%-ით შემცირებულ ანგარიშებს იხილავენ.

¹⁰ <http://www.hellenicshippingnews.com/europe-to-boost-gas-storage-as-it-seek-diversification/>

მიუხედავად მოლოდინისა, რომ გაზისა და ელექტროენერჯის ფასები გაიზრდება, თბილი ზამთრის გამო, რის პროგნოზსაც ოკეანური და ატმოსფერული კვლევების ეროვნული სამმართველო აკეთებს, პროპანის მომხმარებლები 27%-ით, ხოლო ელექტროენერჯის მომხმარებლები 2%-ით ნაკლებს გადაიხდიან ამ ზამთარში.



Independent Statistics & Analysis

**U.S. Energy Information
Administration**

ანგარიშში აღნიშნულია, რომ რეგიონალურ ან ეროვნულ დონეზე მერქნის მოხმარებისა და ფასების სანდო წყარო არ არსებობს. 2013 წლის მდგომარეობით, 2.5 მილიონი ამერიკული ოჯახი იყენებდა შემას ძირითად საწვავად, რაც 38%-ითაა გაზრდილი 2004 წელთან შედარებით. „ბინათმფლობელების დახლოებით 8% შემას როგორც გათბობის მეორად წყაროს იყენებს, ელექტროენერჯისთან დამატებით. ინგლისის ახალი სახლების შემთხვევაში გათბობის წილი ეროვნულ დონეზე დაახლოებით ორჯერ მეტია და 20%-ს შეადგენს, ანუ 1.1 მილიონი სახლი, ძირითადად - სოფლის სახლები,“ ნათქვამია ანგარიშში.

EIA-ს პროგნოზით, ჯამურად განახლებადების წილი, რომელსაც 2014-ში ელექტროენერჯისა და სითბოს მისაღებად გამოიყენებენ, 2.2%-ით გაიზრდება. ტრადიციული ჰიდროგენერაცია 4.2%-ით შემცირდება, მაშინ როდესაც არაჰიდრო განახლებადების წილი 5.6%-ით გაიზრდება და წლის ჭრილში პირველად გადააჭარბებს ჰიდროენერჯეტიკას.

მოსალოდნელია, რომ 2014 წელს აშშ-ს მერქნის მოხმარება უმაღლეს დონეს - 2.16 კვადრილიონ ბრიტანულ თერმულ ერთეულს მიაღწევს და შედარებით ნაკლები იქნება 2015 წელს - 2.14 კვადრილიონი ბრიტანული თერმული ერთეული.¹¹

ნიგერია ენერჯის განახლებადი წყაროების ჯამური დადგმული სიმძლავრის 20 000 მგვტ.-მდე გაზრდას გეგმავს

VENTURES AFRICA-ს ცნობით, ნიგერიის ფედერალურმა მთავრობამ განახლებადი ენერჯისა და ეფექტურობის პოლიტიკის პროექტი წარადგინა, რომლის წარმატებული განხორციელებაც ეროვნულ ქსელს 2015 წლისათვის 2 483 მგვტ.-ს შემატებს. აღნიშნულის შესახებ ენერჯეტიკის სამინისტროს ელექტროენერჯეტიკული ინსპექციის სამსახურის დირექტორმა ბატონმა აბაიომ ადებისიმ განაცხადა პოლიტიკის პროექტის

¹¹ <http://www.biomassmagazine.com/articles/11042/eia-predicts-higher-natural-gas-electricity-prices-this-winter>

პრეზენტაციის დროს, რომელიც სანამ ფედერალურ აღმასრულებელ საბჭოს წარედგინება, დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა შეაფასონ.

გარდა მიზნისა - 2 483 მგვტ. 2015-სათვის, უფრო ფართო მიზნებიც არის დასახული: 8 188 მგვტ. 2020 წლისათვის და 23 134 მგვტ. 2030-სათვის. ამგვარად, განახლებადი ენერჯიები 2015 წლისათვის ნიგერიის ენერგობალანსის 1.3%-ს უზრუნველყოფს, 2020 წლისათვის - 8%-ს, ხოლო 2030 წლისათვის - 16%-ს.

მან ასევე აღნიშნა, რომ 2015 წლისათვის დიდი და მცირე



ჰიდროელექტროსადგურების წილი შესაბამისად 2 121 მგვტ. და 140 მგვტ. იქნება, რასაც მზის ენერჯიის 117 მგვტ. დაემატება.

პოლიტიკა გერმანული კომპანიის GIZ-ის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით შემუშავდა.

„ჩვენ გრანტით GIZ-მა დაგვაფინანსა, შემდეგ გავაერთიანეთ იმ ადამიანების მიერ შექმნილი 30-მდე დოკუმენტი, რომლებსაც უკვე შეტანილი აქვთ თავიანთი წვლილი განახლებადი ენერჯიების სფეროში. ჩვენ მივიღეთ ექსპერტთა ჯგუფი პოლიტიკის შესამუშავებლად და ენერგოპროექტი 2013 წლის მაისში მოიწონა დასავლეთ აფრიკის შტატების ეკონომიკური საბჭოს (ECOWAS) განახლებადი ენერჯიებისა და ენერგოეფექტურობის ცენტრმა“ - აღნიშნა ადაბისიმ. ამასთან მან უარყო, რომ სამინისტროს ინტერესები წინააღმდეგობაში მოდის ნიგერიის ენერგეტიკული კომისიის ინტერესებთან, რომელმაც გასულ წელს დაიწყო ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავება.

ჩვენ არ ვცდილობთ, ვიყოთ ნიგერიის ენერგეტიკული კომისიის კონკურენტები, რადგან ისინი მუშაობენ ეროვნულ ენერგეტიკულ პოლიტიკაზე, ხოლო ჩვენ ვცდილობთ სექტორი წავიყვანოთ განახლებადი ენერჯიებისა და ენერგოეფექტურობის მიმართულებით“.

ინიციატივების მთელი რიგი იქნა შეტანილი პროექტში და კიდევ უფრო მეტი იქნება, რადგან ენერგეტიკის სამინისტრომ მოუწოდა ყველა დაინტერესებულ მხარეს, სიცოცხლისუნარიანი იდეებით, რომლებიც პოლიტიკას მიმზიდველს გახდის ინვესტორებისათვის - თავიანთი წვლილი შეიტანონ მასში.

არსებული ფორმით პროექტი განახლებადი ენერჯიის მოწყობილობებისა მწარმოებლებს 5 წლიან საგადასახადო შეღავათებს სთავაზობს. ამავე დროს, სექტორში ადგილობრივი ინვესტორების სტიმულირების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას

დაბალი საპროცენტო განაკვეთის მქონე საშეღავათო კრედიტები და ორი წლის განმავლობაში საბაჟო გადასახადებისაგან გათავისუფლების მექანიზმი.¹²

ნავთობის ფასის ვარდნის შეჩერების მიზნით, ვენესუელა ოპეკ-ის ქვეყნებთან თანამშრომლობას გეგმავს

„ნავთობის ფასის ვარდნის თავიდან ასაცილებლად ვენესუელა ოპეკ-ის ქვეყნებთან ითანამშრომლებს და მას შესაბამისი წინადადება შემუშავებული აქვს“ - აცხადებს ვენესუელის საგარეო საქმეთა მინისტრი რაფაელ რამირესი. როგორც მან თავის რუს კოლეგასთან, სერგეი ლავროვთან მოლაპარაკებების შემდგომ კონფერენციაზე განაცხადა, ვენესუელას აქვს თავისი, როგორც ნავთობის მომპოვებელი ქვეყნის ინტერესები, რომელიც დაცული უნდა იყოს.

მინისტრმა ასევე აქცენტი გააკეთა ვენესუელასა და რუსეთის ურთიერთშეთანხმებაზე ნავთობის საკითხზე და ამ თანამშრომლობას „შესანიშნავი“ უწოდა. მისი თქმით, „როსნეფტი“ აქტიური წარმომადგენელია ადგილობრივ ბაზარზე, რითაც ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ კომპანიას აქვს უფლება, მოიპოვოს მნიშვნელოვანი მოცულობის ნავთობი ორინოკოში.¹³

ანალიტიკა

IEA ენერგოეფექტურობას, როგორც „პირველად საწვავს“, 310 მლრდ აშშ დოლარად აფასებს

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს (IEA) ახალი მოხსენების მიხედვით, გლობალური ენერგოეფექტურობის ბაზრის შეფასება წლიურად მინიმუმ 310 მლრდ აშშ დოლარს უტოლდება - მონაცემი, რომელიც ყოველწლიურად იზრდება და IEA-ს ენერგოეფექტურობის ე.წ. „პირველად საწვავად“ აღიარებისკენ უბიძგებს. „ენერგოეფექტურობა, რომელიც IEA-ს ქვეყნებისთვის უხილავ ელექტროსადგურს წარმოადგენს, ენერგოუსაფრთხოების გაუმჯობესების, ენერგიაზე გადასახადების შემცირებისა და კლიმატის მიზნებთან დაახლოების უდიდესი საშუალებაა“ - განაცხადა IEA-ს აღმასრულებელმა დირექტორმა მარია ვან დერ ჰოვენმა.

¹² <http://www.ventures-africa.com/2014/09/nigeria-plans-20000mw-generation-from-renewable-sources/>

¹³ <http://www.hellenicshippingnews.com/venezuela-is-going-to-work-with-opec-countries-to-stop-oil-prices-from-falling/>

ენერგოეფექტურობის დაფინანსების ბაზარი თავისთავად ჩამოყალიბდა ინოვაციური პროდუქტებისა და ახალი სტანდარტების მეშვეობით, რამაც ბაზარზე არსებული რისკები მინიმუმამდე შეამცირა და მან სტაბილური და მდგრადი ბაზრის სახე მიიღო. მოხსენების მიხედვით, ენერგოეფექტურობაში ჩადებული ინვესტიციები გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ინვესტიციები განახლებადი ენერჯის წყაროებით, ქვანახშირით, ნავთობით და გაზით მომუშავე ელექტროსადგურებში და იმის ნახევარი, ვიდრე ნავთობისა და გაზის მოპოვებაში განხორციელებული ინვესტიციებია.



დიდი რიცხვები

ენერგოეფექტურობა ქვეყნებს ენერჯის მწარმოებლურობის (ენერჯის ის რაოდენობა, რაც მშპ-ს ერთი ერთეულის წარმოებისთვის არის საჭირო) გაუმჯობესებაში ეხმარება. IEA-ს ანგარიშში წარმოდგენილ 18 ქვეყანაში, ენერგოეფექტურობაში განხორციელებული ინვესტიციების საშუალებით, საბოლოო ენერჯის მოხმარება 2001 წლიდან 2011 წლამდე 5 %-ით შემცირდა. ჯამურად შემცირებულმა ენერჯის მოხმარებამ იმავე პერიოდში 1 732 მლნ ტონა ნავთობის ეკვივალენტი შეადგინა, რაც აშშ-სა და გერმანიის 2012 წლის ენერჯის ჯამური მოთხოვნის ტოლია.

მიმოხილვა

აღნიშნული რეპორტი 2014 წლის ენერგოეფექტურობის ბაზრის მოხსენების 4 ძირითად საკითს მოიცავს:

1. 2011 წელს ენერჯის დაზოგვამ მიმდინარე ენერგოეფექტურობის ღონისძიებების ფარგლებში, IEA-ს 11 ქვეყანაში ჯამურად 1 337 მლნ ტონა ნავთობის ეკვივალენტი შეადგინა. ეს რიცხვი ევროკავშირის ამავე წლის საბოლოო ენერჯის მოხმარებას აჭარბებს.
2. ენერგოეფექტურობის დაფინანსება იზრდება და ინოვაციური ხდება, რაც ბიზნეს მოდელების დაფინანსების ახალ გამოწვევებს წარმოშობს; აშკარა ზრდა აღინიშნება სხვადასხვა დახმარების პროგრამების დაფინანსებაში.
3. სატრანსპორტო საწვავის ეკონომიური სტანდარტები ამჟამად გლობალური მსუბუქი ტიპის ტრანსპორტის ბაზრის 70%-ს მოიცავს და მომდევნო 5 წლის მანძილზე კიდევ უფრო მეტ ენერგოეფექტურ ტრანსპორტს უზრუნველყოფს. ახალ ენერგოეფექტურ სტანდარტებზე გადასვლა ყოველწლიურად 80 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიციას მოითხოვს 2020

წლამდე და 40-დან 190-მდე მლრდ აშშ დოლარის დაზოგვას მოახდენს საწვავის დანახარჯებში.

4. OECD-ის არაწევრი ქვეყნების ეკონომიკაში ენერგოეფექტურობის ბაზრის პოტენციალი მნიშვნელოვნად იზრდება, რაც ძირითადად ტრანსპორტის სექტორს ეხება, სადაც მგზავრთბრუნვა 2011 წლის დონესთან შედარებით 2020 წლამდე 90%-ით გაიზრდება.¹⁴

¹⁴ <http://cleantechnica.com/2014/10/08/iea-marks-energy-efficiency-worlds-first-fuel-worth-310-billion/>